



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 21 სექტემბერი

დისციპლინური საქმე №221/18-2

მოსამართლე --- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

--- 2018 წლის 24 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 16 ნოემბრის №193/221-03 წერილით, მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2018 წლის 27 დეკემბერს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არ მისცა სიტყვა პროცესზე და მისი დის შესაგებლის განხილვას მოანდომა მთელი სხდომა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2013 წლის 22 მარტს --- სარჩელით მიმართა --- სასამართლოს, მოპასუხის --- მიმართ, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. 2013 წლის 8 აპრილს მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა სასამართლოში. სასამართლო სხდომები გაიმართა 23.04.2013; 07.05.2013; 17.05.2013 წწ პერიოდებში. 2013 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით --- სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა; გაუქმდა მოსარჩელესა და --- შორის დადებული უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულებები. 2013 წლის 25 ივნისს სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში --- და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

2.2. 2013 წლის 9 ივლისის განჩინებით --- სააპელაციო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული. 2013 წლის 19 ივლისს მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოში წარადგინა სააპელაციო შესაგებელი. 2013 წლის 24 ივლისის განჩინებით შეჩერდა საქმის წარმოება --- გარდაცვალების გამო, მისი უფლებამონაცვლის დადგენამდე. 2014 წლის 18 მარტის განჩინებით --- სააპელაციო საჩივარი დარჩა

განუხილველი დაუშვებლობის გამო. 2014 წლის 3 აპრილს -- -- სასამართლოში წარადგინა კერძო საჩივარი და 2014 წლის 18 მარტის განჩინების გაუქმება ითხოვა.

2.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი განსახილველად იქნა მიღებული. 2014 წლის 27 ივნისის განჩინებით 3 თვით შეჩერდა საქმის წარმოება -- -- უფლებამონაცვლის დასადგენად. 2014 წლის 8 დეკემბრის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება -- -- კერძო საჩივარზე.

2.4. 2016 წლის 24 მარტის განჩინებით -- -- განცხადება სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- ცნობილი იქნა -- -- უფლებამონაცვლედ. 2016 წლის 5 აგვისტოს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში და 2016 წლის 24 მარტის განჩინების გაუქმება ითხოვა. სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. 2016 წლის 13 დეკემბერს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. 2017 წლის 9 იანვრის განჩინებით -- -- განცხადება დატოვებული იქნა განუხილველად დაუშვებლობის გამო. 2017 წლის 21 მარტს -- -- კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2017 წლის 9 იანვრის განჩინებაზე და მისი გაუქმება ითხოვა. სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 25 მაისის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა -- -- სასამართლოს 2017 წლის 9 იანვრის განჩინება.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ: ა) აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; ბ) დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; გ) დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; დ) სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძველად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; ე) მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე

სარჩელის მიმართ; ვ) მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ზ) არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს. თ) არსებობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომიტეტის, ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, ზავშვის უფლებათა კომიტეტის, წამების წინააღმდეგ კომიტეტის ან რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (შემდგომ – კომიტეტი) გადაწყვეტილება, რომლითაც ამ საქმესთან დაკავშირებით დადგენილ იქნა კომიტეტის დამაარსებელი კონვენციის დარღვევა, და გადასასინჯი გადაწყვეტილება ამ დარღვევას ეფუძნება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მიხედვით, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების გაცნობის და აუდიო ჩანაწერის მოსმენის შედეგად არ დასტურდება საჩივრის ავტორის მითითება, რომ მოსამართლე -- -- არ მისცა სიტყვა პროცესზე და მისი დის შესაგებლის განხილვას მოანდომა მთელი სხდომა.

ამდენად, მოსამართლის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ეთიკის წესების დარღვევას, იგი მოქმედებდა საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლის თანახმად, „მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 3 წელი, ხოლო მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან – 1 წელი“ (2020 წლის 01 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

ხანდაზმულობის ვადას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დისციპლინური სამართალწარმოებისათვის, ვინაიდან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისათვის აუცილებელია, რომ საჩივარი დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში წარმოდგენილი იყოს ქმედების ჩადენიდან 3 წლის განმავლობაში. ხანდაზმულობის ვადები დისციპლინურ სამართალწარმოებაში გამოიყენება მხოლოდ საჩივრის წარდგენასთან მიმართებით. საჩივრის წარდგენის შემდეგ თავად სამართალწარმოების განმახორციელებელი ორგანო ხანდაზმულობის ვადით არ არის შეზღუდული, რადგან ხანდაზმულობის ვადის დენა საჩივრის წარდგენით წყდება.

ხანდაზმულობის ვადის მიზანია თავიდან აიცილოს ისეთი შემთხვევა, როდესაც საჩივრის დაგვიანებით წარდგენა შეუძლებელს ხდის ან აფერხებს კონკრეტული საქმის მოკვლევას და საქმის გარემოებების სრულყოფილ შესწავლას. ამასთან, ხანდაზმულობის კონკრეტული ვადის არსებობა უზრუნველყოფს სამართლებრივ განსაზღვრულობასა და განჭვრეტადობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უარის თქმის შესახებ ან მოსამართლის მიმართ დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ, ამოიწურა მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის ან მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის (დისციპლინური სახდელის) დაკისრების ვადა (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია). ორგანული კანონის ზემოაღნიშნული დებულება დამოუკიდებელ ინსპექტორს ანიჭებს უფლებამოსილებას თავად მიიღოს გადაწყვეტილება სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ საჩივრის წარმოდგენამდე გასულია 3 წელი.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის დასკვნის თანახმად, -- -- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- გადაწყვეტილება მიიღო 2014 წელს, ხოლო საჩივარი წარმოდგენილი იყო 2018 წელს.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად დადასტურებულია, რომ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე (საჩივრის წარმოდგენამდე) გასული იყო 3 წელი, რის გამოც, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება უნდა შეწყდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75² მუხლით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ვ ე ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №-- მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი